



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030417756485914

№ 04-84/ო

02 / აპრილი / 2014 წ.

**სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის ფორმის და მისი
გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ გასაცემი ამონაწერის ფორმა (დანართი N1).

2. ცნობად იქნეს მიღებული ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამონაწერის გაცემასთან დაკავშირებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) ამონაწერი გაიცემა ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისა და იდენტიფიცირების საფუძველზე;

ბ) ამონაწერი გაიცემა მოთხოვნისთანავე, თუ არ არსებობს გაცემის ხელშემშლელი ტექნიკური მიზეზ(ებ)ი;

გ) ამონაწერს გასცემს სააგენტოს ცენტრალური აპარატი ან ტერიტორიული ერთეული.

3. სააგენტოს სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტმა (გ. ჩივიაშვილი) მეთოდური დახმარება გაუწიოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.


4. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის და მისი განთავსება სააგენტოს ვებგვერდზე – www.ssa.gov.ge.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2010 წლის 5 ივლისის N01/168-ო ბრძანება.

6. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 აპრილიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე





სსიპ - სოციალური
მომსახურების
სააგენტო

ამონაწერი

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან

ოჯახი საიდენტიფიკაციო N

მომზადების თარიღი

ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი

ოჯახის წევრთა პერსონალური მონაცემები				
N	სახელი, გვარი	დაბ/თარიღი	პ/ნომერი	შენიშვნა
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				

მოქმედი სარეიტინგო ქულა	
ქულის მინიჭების თარიღი	
დეკლარაციის შევსების თარიღი	

გასული პერიოდის სარეიტინგო ქულები			
N	სარეიტინგო ქულა	დეკლარაციის შევსების თარიღი	ქულის მინიჭების თარიღი
1			
2			
3			

გასულ პერიოდში მიღებული შემწეობა
0.00
0.00
0.00
0.00
0.00
0.00